(ტენდერის ნომერი DEP200000107)

ნიმუში შემოწმების აქტი

05.02.2021 თბილისი/Tbilisi

ერთი მხრივ, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემსყიდველი) სახელით, და მეორეს მხრივ, "შსპ ემ აი დი" (პრეტენდენტი) აფორმებენ წინამდებარე აქტს და ადასტურებენ, რომ „პრეტენდენტმა" 2020 წლის 26 ნოემბერს, პერსონალური დაცვის სამედიციონო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული ფასთა კვოტირების (განცხადების ნომერი DEP200000107) ფარგლებში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, 2021 წლის 05 თებერვალს წარმოადგინა სამედიცინო ხალათების ნიმუში.

„პრეტენდენტის" მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილმა ნიმუშმა არ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი და პრეტენდენტის მიერ, მისივე წინადადებით შემოთავაზებული საქონელის ტექნიკური პარამეტრები. მისივე განმარტებით, დაფიქსირდა შეცდომა მიწოდების დროს და შესაბამისად იმავე დღეს, ხელმეორედ წარმოადგინა სხვა ნიმუში, რომელიც დასურათებულია და თან ახლავს აღნიშნულ ოქმს. კერძოდ ნიმუშის ტექნიკური მახასიათებლებია:

- ტიპი: არა ქირურგიული
- კლასიფიკაცია: დონე 3
- ერთჯერადი გამოყენება
- მასალის ტიპი: წყალგამძლე
- მასალის წონა: მინიმუმ 40 GSM
- მაჯის სამაჯურები: ქსოვილი
- აკმაყოფილებს WHO სტანდარტს

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი, ადასტურებს, რომ პრეტენდენტის მიერ, მეორედ წარმოდგენილი სამედიცინო ხალათების ნიმუში აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ტექნიკურ სპეციფიკაციებს და შეესაბამება პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი, მწარმოებლის მიერ შემოთავაზებულ საქონელს. წარმოდგენილი ხალათის შეფუთვაზე დატანილია წარწერა მწარმოებელი კომპანიისა და მახასიათებლების შესახებ. დატანილ წარწერაზე ჩამატებულია კალმით ნიმუშის ფერის დაზუსტება, წარწერაზე ბეჭდურად აღნიშნულია ფერი თეთრი და დამატებულია ფერი ლურჯი.

პრეტენდენტი აღნიშნული აქტით ადასტურებს, რომ სატენდერო პროცედურებში გამარჯვების შემთვევაში, წარმოადგენს წინამდებარე აქტით შეფასებულ და დამტკიცებული ნიმუშის შესაბამის საქონელს.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
გადაუდებელი დახმარების ცენტრი

---------- ამირან გოგიტიძე

პრეტენდენტი

---------- თინათინ ბახტაძე

Tinatin Bakhtadze

Digitally signed by Tinatin Bakhtadze
Date: 2021.02.09 17:37:24 +04'00'